გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

დადგენილების პროექტი მოზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16, 24-ე, 91-ე მუხლების და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად და განსაზღვრავს 2026 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს;

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები შესაბამისობაშია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

პროექტით ხორციელდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლისათვის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების და გასაწევი გადასახდელების ნუსხის დამტკიცება საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

ა.გ) პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 503,000.0 ათას ლარს.

➢ **გადასახადების** საპროგნოზო მაჩვენებლები შეადგენს 134,903.0 ათას ლარს. საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვრება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 61-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების შესაბამისად. მათ შორის:

✓ **ქონების გადასახადი** - 57,000.0 ათასი ლარი, რომელიც 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გაიზარდა 18,8%-ით (9,000.0 ათასი ლარით).

✓ **დამატებული ღირებულების გადასახადები** - 77,903.0 ათასი ლარი. 2025 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 6.6%-ით (4,836.2 ათასი ლარით). აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე და საპროგნოზო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტით;

➢ **ფინანსური დახმარების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 248,914.3 ათასი ლარით: მათ შორის:**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მისაღები - კაპიტალური ტრანსფერი - 143,800.0 ათასი ლარი და სპეციალური ტრანსფერი - 104,200.0 ათასი ლარი. რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან მიმართებაში გაზრდილია 16,000.0 ათასი ლარით.

გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მიზნობრივი) - 538.0 ათასი ლარით.

გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებიდან - 376.3 ათასი ლარით.

➢ **სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 2026 წლისთვის განისაზღვრა 110,682.7 ათასი ლარის ოდენობით:**

✓ საკუთრებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8,682.7 ათასი ლარის ოდენობით. აქედან:

- პროცენტების სახით დაგეგმილია 5,882.7 ათასი ლარის მობილიზება;
- რენტის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 2,800.0 ათასი ლარის ოდენობით.

✓ საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 83,300.0 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლები - 4,600.0 ათასი ლარის ოდენობით.
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 71,000.0 ათასი ლარის ოდენობით.
- მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 6,300.0 ათასი ლარის ოდენობით.
- სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი - 900.0 ათასი ლარის ოდენობით
- შემოსავალი მომსახურების გაწევიდან - 500.0 ათასი ლარის ოდენობით

✓ ჯარიმებით, სანქციებითა და საურავებით მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 15,000.0 ათასი ლარის ოდენობით.

✓ შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3,700.0 ათასი ლარის ოდენობით.

არაფინანსური აქტივების (ქონების გაყიდვიდან) კლების მაჩვენებელი განისაზღვრა 9,000.0 ათასი ლარით.

ფინანსური აქტივების ცვლილება (კლება) - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ნაშთის ცვლილების საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს - 66,500.0 ათას ლარს, რაც 2025 წელს ფაქტიურად მიღებული შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებთან მიმართებაში გადაჭარბებით მიღებული ფინანსური სახსრების, ხოლო გადასახდელების ნაწილში შესყიდვებისა და ფაქტიური დაფინანსების შედეგად მიღებული ეკონომიების შედეგია.

❖ <u>წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის ასიგნებები შეადგენს 570,000.0 ათას ლარს. (დანართი 1)</u>

ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელები გადანაწილდა შემდეგნაირად:

✓ **ადგილობრივი ბიუჯეტის მთლიანი ასიგნებების 50.5% - 287,980.8 ათასი ლარი მოდის ხარჯებზე, მათ შორის:**

- შრომის ანაზღაურება - 62,750.6 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შრომის ანაზღაურების მუხლი გაზრდილია, რაც განპირობებულია 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის და „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის გათვალისწინებით (საბაზო თანამდებობრივი სარგო განისაზღვრა 1 600 ლარის ოდენობით, ნაცვლად 1 460 ლარისა) და ასევე ახალი საბავშვო ბაღების გახსნასთან დაკავშირებით.
- საქონელი და მომსახურება - 101,354.3 ათასი ლარი;
- პროცენტი - 6,523.7 ათასი ლარი;
- გრანტები - 15.0 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 32,300.9 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 25,298.0 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 59,738.3 ათასი ლარი;

✓ მთლიანი ასიგნებების 42.2% - 240,540.3 ათასი ლარი მოდის არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

✓ ადგილობრივი ბიუჯეტიდან ვალდებულებების (სესხის ძირი თანხის) დაფარვას 41,478.9ათასი ლარი მოხმარდება, რაც მთლიანი ასიგნებების 7.3%-ია.

- **პროგრამული კლასიფიკაციის შესაბამისად პრიორიტეტების მიხედვით ასიგნებები გადანაწილდა შემდეგნაირად:**

I. <u>**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 67,324.4 ათასი ლარი, მათ შორის:**</u>

- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო - 4,190.7 ათასი ლარი;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია - 11,206.1 ათასი ლარი;
- სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა - 48,002.6 ათასი ლარი, რომელიც მიმართება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW, I-II-III-IV-V ფაზა და მდგრადი ურბანული განვითარება - ურბანული მობილობა ბათუმში) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურებაზე.

- სარეზერვო ფონდი - 3,500.0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებშიც თანხის განკარგვა განხორციელდება საკრებულოს მიერ დამტკიცებული წესის (ჯანმრთელობის, სოციალურის, სტიქიური მოვლენების დროს დაზარალებულთა დახმარების და ასევე სხვა გადაუდებელი ღონისძიებების დაფინანსება) მიხედვით;
- წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 300.0 ათასი ლარი;
- საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება - 45.0 ათასი ლარი;
- მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება - 80.0 ათასი ლარი;

II. <u>მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 295,283.2 ათასი ლარი, მათ შორის:</u>

- საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 114,866.9 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს შემდეგ სამუშაოებს:

ასფალტირებული და რკინა-ბეტონის საფარის ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები - საერთო ფართობი - 99,499 კვ.მ;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების მოვლა-პატრონობა - 1818 ერთეული;

არაასფალტირებული ქუჩების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები;

საგზაო ინფრასტრუქტურის (ტროტუარი, ბორდიური, ქვაფენილი, ბოძკინტი) მოვლა-შენახვის ღონისძიებები;

დეკორატიული გზაგამყოფი ღობეების მოვლა-პატრონობა;

გარე განათების წერტების მოვლა-ექსპლოატაცია;

გარე განათების სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი;

ქ. ბათუმში, ქუჩების გარე განათების კაპიტალური სამუშაოები;

ინფრასტრუქტურის სამუშაოები განხორციელდება შემდეგი უბნების გზებსა და ქუჩებზე:

ქ. ბათუმში, ივანე მესხის ქუჩის კეთილმოწყობა.

ხახულის II შესახვევის რეაბილიტაცია (ხახულის ქუჩიდან მამია ვარშანიძის ქუჩამდე);

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილის N1-დან აეროპორტის გზატკეცილის N93-მდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, გაგარინის ქუჩის კეთილმოწყობა გენერალ ასლან აბაშიძის ქუჩამდე;

ქ. ბათუმში, ქეთევან წამებულის ქუჩის, ქეთევან წამებულის I, II ჩიხების და გალაქტიონ ტაბიძის I ჩიხის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, წმინდა ევდემოზ პირველი (დიასამიძის) ქუჩის კეთილმოწყობა და მესხეთის II ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მარეთის ქ. N2-ის მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა.

ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რებილიტაცია;

ქ. ბათუმში, კახაბრის ქ. N24ა-ს მიმდებარედ ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თევდორე მღვდლის ქ. N12-დან კახი კავსაძის I შესახვევი N4ბ-მდე გზის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N235-დან N253-მდე ბეტონის გზის მოწყობა.

ქ. ბათუმში, ჭოროხის ქუჩის და დავით ართმელაძის ქუჩის დამაკავშირებელი ახალი გზის მოწყობა;

ხიმშიაშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში ქუჩების კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმში, შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩის (კობალაძის ქუჩიდან შარტავას ქუჩამდე), დავით ხახუტაიშვილის ქუჩის (ფიროსმანის ქუჩიდან შერიფ ხიმშიაშვილის ქუჩამდე) და ინასარიძის ქუჩის (დავით ხახუტაიშვილის ქუჩიდან ტაძრის ქუჩამდე) კეთილმოწყობა.

ქ. ბათუმში, იაკობ გოგებაშვილის და შოთა რუსთაველის ქუჩების რეაბილიტაცია.

ქ. ბათუმში, დემეტრე თავდადებულის, ლუკა ასათიანის, ვაჟა-ფშაველას, 26 მაისის, დავით კლდიაშვილის, კოტე მარჯანიშვილის, ხარიტონ ახვლედიანის, სტეფანე ზუბალაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ჰაიდარ აბაშიძის, იორდან მეტაქსას, სელიმ ხიმშიაშვილის, ექვთიმე თაყაიშვილის, მიხეილ ლერმონტოვის და მურად ხინიკაძის ქუჩებზე არსებული ქვაფენილის დემონტაჟი და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა.

ქ. ბათუმში, ბაქოს ქუჩის, ოდისეი დიმიტრიადის ქუჩისა და თამარ მეფის გამზირის რეაბილიტაცია თბილისის ქუჩის დასაწყისამდე.

ხიდების და ხიდბოგირების მოწყობა-რეაბილიტაცია:

ქ. ბათუმში, ნადიმ ნიჟარაძის ქუჩა N10-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა №83-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ანა კალანდაძის ქუჩა №50-52-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მაჭახლის ქუჩა №51-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გოდერძი ჩოხელის ქუჩა №43-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება №54-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №24-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, კახი კავსაძის ქუჩა №5-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა №271-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მუხრან მაჭავარიანის I შესახვევი №13-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მახვილაურის ქუჩა №50-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ანა კალანდაძის ქუჩა №53ა-ს მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, კახი კავსაძის II შესახვევი №34-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ნიკო მუსხელიშვილის ქუჩა №64-ის მიმდებარედ ხიდის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მახვილაურის დასახლება №10-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თოდოდგაურის დასახლება №32-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, დიდგორის ქუჩა №27-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ნადიმ ნიჟარაძის ქუჩა №58-ის მიმდებარედ ხიდის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში, მამია გოგოლიშვილის I შესახვევი №12-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, პეტრე იბერის II ჩიხი №13-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი №113-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება №14-ის მიმდებარედ ხიდბოგირის მოწყობა;

სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო სამუშაოები (144 მისამართი) (2026-2027წწ.)

პრობლემატურ მონაკვეთებზე ბეტონის საფარის დაგება;

ვიდეო-სათვალთვალო კამერების შეძენა- მონტაჟი;

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო ღონისძიებებისთვის საჭირო გადაუდებელი სამუშაოები;

ქუჩების კაპიტალური რეაბილიტაციისა და მშენებლობის სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა.

- სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება - 37,252.0 ათასი ლარი, კერძოდ ფინანსდება:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის შეუფერხებელი ფუნქციონირების შპს "ბათუმის ავტოტრანსპორტი"-ს სუბსიდირება (საოპერაციო

დეფიციტის დაფარვა) და ასევე "შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტისათვის" შეძენილი მუნიციპალური მიკროავტობისის და ავტობუსების საფასურის დაფარვა.

ასევე ქალაქის სატრანსპორტო მართვის სისტემების, ველო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

▪ საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება - 69,060.7 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქალაქის სანიაღვრე სისტემის გაფართოების და გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სანიაღვრე ქსელების მიმდინარე მოვლა-ექსპლუატაცია,

ქ. ბათუმში, ადლიის ქუჩა №76-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი №15-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ილია ჭავჭავძის ქუჩა №53-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

კაზინეცის ქ.№12-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

თოდოგაურის დასახლება №100-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ხახულის ქუჩა №68-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა №33-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქუჩა №85-97-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მიხეილ შარაშიძის V ჩიხი №14-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მ. შარაშიძის ქ. N56-დან N60-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ურეხის დასახლება N49-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ყადირ შერვაშიძის აღმართი N80-დან N86-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზურაბ ნაჭყებიას ქ. N29ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყებიას ქ. N25-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზ. ნაჭყებიას ქ. N63-დან N51-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თოდოგაურის დასახლება N33ა-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მამია ვარშანიძის ქ. N265ა-265ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, დიდგორის ქ. N2-დან N25-მდე და დიდგორის 1 შესახვევი N1-დან N9ა-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

მარკოზ აჭარელის III შესახვევი №69-71-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მარკოზ აჭარელის III შესახვევი №45-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სათნოების ქუჩა №21-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, კვიპაროსის ქუჩა №1-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ისრაფილ ჯინჭარაძის ქუჩა №21-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, თბილისის ქუჩა №55-დან №59-მდე სანიაღვრე არხის მოწყობა;

მატათა მოციქულის ქ.№33-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №229გ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის და ბეტონის გზის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სიონის 1 ჩიხის სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ა. შანიძის ქ. N48ბ-ს მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გ. რობაქიძის ქ. N37-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ივანე ჯავახიშვილის N70-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის მოწყობა;

კახი კავსაძის დასახლება №69-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

კახი კავსაძის დასახლება №11-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

მდინარე მეჯინისწყალზე, მახვილაურის ქუჩიდან აკაკი შანიძის მე-3 ჩიხი 8-12-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

კახი კავსაძის ქ. №23-ის მიმდებარედ სანიაღვრე არხის ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

მდინარე მეჯინისწყალზე, ბეთლემის ქუჩიდან მიხეილ შარაშიძის ქუჩამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

ტბეთის ქ. N60-დან თამარ მეფის გამზირამდე ნაპირსამაგრი კედლის მოწყობა;

სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაციის სამუშაობის ტექნიკური ზედამხედველობა;

წყალმომარაგების ახალ ქსელზე დაერთების საფასურის დაფარვა (საყოფაცხოვრებო მოხმარების მიზნით -20 მმ დიამეტრის მილი);

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ფარგლებში - ქ. ბათუმში, მწვანე კონცხის ადმინისტრაციულ ერთეულში სასმელი წყლის სისტემების მოწყობა; ქ. ბათუმში, ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ 2000 კბ.მ. წყლის რეზერუარის მშენებლობა და ავგიის ქ. №5, ჩიხი №1-ის მიმდებარედ რეზერვუარამდე მკვებავი მაგისტრალისა და წყლის ქსელის მშენებლობა; მეჯინისწყლის ჭაბურღილების წარმადობის გაზრდა;

კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციის ფარგლებში - მეჯინისწყლის ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიების წყალარინების ქსელის მშენებლობა;

ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის მე-5 ფაზის სამუშაოებთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება და მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება.

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი - 50,363.4 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქალაქში არსებული მრავალსართულიანი/მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია;

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაცია (შეცვლა, რემონტი, განახლება);

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების და ეზოების კომუნალური სისტემის მოწესრიგება;

მრავალსართულიან/მრავალბინიან სახლებში არსებული ამორტიზირებული ლიფტების დემონტაჟი და ახალი ლიფტების მონტაჟი;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების სადარბაზოებში სადარბაზოს კარისა და ელექტრო საკეტების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებში გარე-განათების მოწყობა;

მრავალსართულიანი სახლების ეზოებისათვის ატრაქციონების შეძენა-მონტაჟი და რეაბილიტაცია;

ქალაქში არსებულ სახლებზე დაზიანებული ფასადების რეაბილიტაცია;

მრავალსართულიანი/მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმში ე.წ. შანხაის დასახლებაში სოციალური სახლის მშენებლობა;

ავარიული სახლების დემონტაჟი- მშენებლობა, გამაგრება-რეაბილიტაციის სამუშაოები.

- მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა - 1,376.1 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქ ბათუმის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა.

- ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა - 16,152.0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

საქალაქო მეურნეობის მოვლა-პატრონობა, რეაბილიტაცია, დაგეგმვა, მოწყობა და განვითარება, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების კოორდინაცია.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა;

ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების ფარგლებში შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ან მათი რეაბილიტაციის შემთხვევაში, ასევე ავარიული, სარემონტო ან/და დაზიანებული შენობა ნაგებობების დროს დაზარალებული მოქალაქეთა ბინის ქირითა და საკომპენსაციო თანხებით უზრუნველყოფა

▪ ქალაქის კეთილმოწყობა - 6,212.1 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

საშობაო-საახალწლო დღესასწაულისათვის ქალაქის გაფორმება;

წლის განმავლობაში ქალაქის გაფორმების ღონისძიებები;

ბიუსტების, ძეგლების და ქანდაკებების მოვლა-დასუფთავება;

ქუჩის მანიშნებლების დამზადება-მონტაჟი;

ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა;

III. ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 59,631.0 ათასი ლარი, დაფინანსდება შემდეგი პროგრამები კერძოდ:

ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება - 25,812.9 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქალაქის დასუფთავების რეგულარული სამუშაოები;

ქალაქის დასუფთავების დამატებითი სამუშაოები;

ნარჩენების გატანა;

ნაგავსაყრელის ექსპლუატაცია და სანიტარული მომსახურება

ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება - 33,818.1 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

ქ. ბათუმში, აფსაროსის გზატკეცილი III შესახვევი N1, N2, N4, N8-10, N14, N20-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, სვიმონ კანანელის ქუჩა, N1ა-ში სკვერის მოწყობა-რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქუჩა N31, N33, N35, N37, N39-ის მიმდებარედ სკვერის რეაბილიტაცია;

ქ. ბათუმი, გ. ტაბიძის ქუჩა N25-ის მიმდებარედ სკვერის კეთილმოწყობა;

ქ. ბათუმი, გ. ლეონიძის ქუჩა N6ბ, N6ვ-ს მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, გენერალ ა. აბაშიძის N48-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, მარკოზ აჭარელის ქუჩა N14-ის მიმდებარედ სკვერის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ჩაქვის დასახლების ტერიტორიაზე, მიუსაფარ ძაღლთა თავშესაფრის კომპლექსის მოწყობა;

ქ. ბათუმში, ზღვისპირა პარკის ტერიტორიაზე მდებარე ,,არდაგანის ტბის" (ს.კ. 05.24.02.113) და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

ცენტრალური პარკის დაცვა;

პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობის სამუშოების ტექნიკური ზედამხედველობა;

ქალაქის გამწვანების მიმდინარე ღონისძიებები;

სანერგე-სასათბურე მეურნეობის მოვლა-ექსპლუატაცია;

ხე-მცენარეების შეძენა-დარგვა;

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

IV. <u>განათლება - 60,489.2 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი პროგრამები:</u>

სკოლამდელი აღზრდა და განათლება - 60,274.2 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა:

საბავშვო ბაღების მართვა-ადმინისტრირება;

საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა კვებით უზრუნველყოფა;

საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;

საბავშვო ბაღების თანამშრომელთა ტრენინგები.

ბათუმში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის (ენერგოერფექტიანობა - KfW ბანკი) პროექტის დამატებითი თანადაფინანსება;

საბავშვო ბაღების შენობების კეთილმოწყობა (დემონტაჟი-მშენებლობა-გამაგრება-რეაბილიტაცია)

ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი N188-ში ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა

ქ. ბათუმში, შ. ინასარიძის ქუჩა N21ა-ში მდებარე N6 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

ქ. ბათუმში, დ. აღმაშენებლის ქუჩა N14-ში მდებარე N10 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

ქ. ბათუმში, ა. პუშკინის ქუჩა N113-ში მდებარე N16 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 215.0 ათასი ლარი, პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;

სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის.

V. <u>კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი - 36,548.1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს:</u>

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

ეზოს ფეხბურთი, საპლაჟო და ფუტსალი,

სპეციალური საჭიროების მქონე ბავშთა სპორტული სექცია;

სასკოლო ოლიმპიადა;

ქვიშის სახეობების ფესტივალი;

სპორტული ბანაკი;

ველო მარათონი;

საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

მინდვრის ჰოკეის სექციის განვითარება;

ქვიშის ჭიდაობის სექცია;

კიბერ ფეხბურთის ფესტივალი;

ღია ჩემპიონატი მოძრავ სამიზნე სროლაში;

ბათუმის სპორტის ქალაქი.

ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ბათუმელი სპორტსმენების/მწვრთნელების ფინანსური მხარდაჭერა;

წლის სპორტსმენი.

სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)

სარაგბო კლუბის „ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა;
ფრენბურთის კლუბის ,,ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა;
საკალათბურთო კლუბის ,,ბათუმი 2010" განვითარების ხელშეწყობა;
ხელბურთის კლუბის ,,ბათუმი" განვითარების ხელშეწყობა;

ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა" (პროგრამული კოდი 05 01 04)

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;
ტურნირების ორგანიზება და მონაწილეობა;
მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.

ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 05)

კლუბის მართვა და ადმინისტრირება;
სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა;
ცხენებისათვის საკვები მარაგების შეძენა და სამედიცინო მომსახურება.

ა(ა)იპ ბათუმის სპორტული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

მართვა და ადმინისტრირება;
ინფრასტრუქტურის მოწყობა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება;
სპორტული ცენტრის ბაზაზე ჰოკეის კლუბის განვითარება;
სპორტული ცენტრის ბაზაზე ფიგურული ციგურაობის კლუბის განვითარება;
ამპუტანტ ფეხბურთელთა მხარდაჭერის პროგრამა;
სანიჩბოსნო სპორტის სექციის განვითარების ხელშეწყობა;
მძლეოსნობის სექციის განვითარება;
ფარიკაობის სექციის განვითარება;
ქართული ჭიდაობის სექციის განვითარების ხელშეწყობა;
წყალბურთის განვითარების ხელშეწყობის სექცია
ქალთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა;

კულტურული ღონისძიებების მართვა (პროგრამული კოდი 05 03 01)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრის დაფინანსება ქალაქში სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზებისა და მართვის მიზნით.

ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 03 02)

- 3 და 8 მარტი - დედის და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

- 23 მარტი - 1921 წელს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ გმირთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

- 9 აპრილი -საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღისა და საქართველოს ეროვნული ერთიანობის, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- ბათუმობის ღონისძიებები;

- 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- წილხვდომილობის დღესასწაული;

- 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;

- 1 ივნისი - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

- 8-11 აგვისტო - 2008 წლის აგვისტოს ომში მონაწილეთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები;

- ქალაქის საახალწლო - სადღესასწაულო ღონისძიებები.

კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 03 03)

ებრაული, აზერბაიჯანული, უკრაინული, რუსული, სომხური, იეზიტური, თურქული, ბერძნული და გერმანული ეთნიკური უმცირესობების ჯგუფის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება.

საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება კონკურსის წესით შერჩეული სხვადასხვა ფესტივალების მხარდაჭერა, რაც გაზრდის კულტურასა და ხელოვნებაზე ხელმისაწვდომობას და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქალაქში კულტურული ცხოვრების გააქტიურებას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარებას.

კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კულტურისა და ხელოვნების სფეროში პროექტების (თავისუფალი ინიციატივები) მხარდაჭერას.

ფოლკლორის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 01)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ენვერ ხაბაძის სახელობის სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბათუმის“ დაფინანსება;

'შემოქმედებითი კოლექტივების ფორმითა და ინსტრუმენტებით აღჭურვა.

თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 02)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ჯაზ-ბიგ ბენდის და ჯგუფი „GEO PLANET“-ის დაფინანსება;

კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 03)

ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრთან არსებული ქალთა კამერული გუნდის, სიმებიანი კვარტეტის და სასულე ორკესტრის დაფინანსება;

ხელოვანთა ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04 04)

ღონისძიება „წლის ხელოვანი“

ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა (პროგრამული კოდი 05 04 05)

მუნიციპალური ბიბლიოთეკების მართვა-ადმინისტრირება;

კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებები;

ბეჭდური გამოცემების შეძენა, წიგნადი ფონდის შევსება-განახლება;

ბიბლიოთეკების მატერიალურ -ტექნიკური ბაზის განახლება;

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05 01)

ქ. ბათუმში, ლუკა ასათიანის ქ.N25-ში მდებარე მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) რეაბილიტაცია-გამაგრება;

ქ. ბათუმში, შ. რუსთაველის ქ. N51-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის მონიტორინგის და პროგნოზირების ცენტრის შავი ზღვის ფილიალის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია;

ახალგაზრდული ცენტრი (პროგრამული კოდი 05 06 01)

ახალგაზრდული ცენტრის მოვლა-პატრონობა, ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

არაფორმალური განათლების ხელშეწყობა;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინტეგრაციის ხელშეწყობა და საინფორმაციო აქტივობები;

ახალგაზრდულ განაკეთში მონაწილეობის ხელშეწყობა;

მონაწილეობის ხელშემწყობი ღონისძიებები: ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა;

მოხალისეთა კლუბი, ახალგაზრდული ფორუმი;

წლის შემაჯამებელი, საანგარიშო ღონისძიება;

ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 06 02)

ინტელექტუალური თამაში რა? სად? როდის?;

VI. ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 34,381.2 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს:

პროგრამა ემსახურება მდგრადი განვითარების მიზნებს, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობას, (ბენეფიციართა რაოდენობა -19506) საზოგადების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესებას (ბენეფიციართა რაოდენობა - 42500) და დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორების შემცირას.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- *მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა;*
- *ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია;*
- *ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია;*
- *მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა;*
- *შშმ სტატუსის ბავშვთა და ვეტერანთა საკურორტო სამკურნალო-რეაბილიტაცია;*
- *ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია;*
- *ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება;*
- *მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;*
- *თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება;*

სოციალური პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- *კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება;*
- *მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა;*
- *მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება;*
- *მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება;*
- *მუნიციპალური უფასო სასადილო;*
- *დროებითი ღამის თავშესაფარი;*
- *საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა;*
- *მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა;*

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მხარდაჭერა;
- მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების გაძლიერება.

სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- *ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი;*
- *დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები;*
- *უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები*

VII. ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება - 1,125.1 ათასი ლარი, რომელიც მოიცავს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების და განაშენიანების მართვის დოკუმანტაციის დასრულებას და მუნიციპალური კვლევების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

VIII. მუნიციპალური სერვისების განვითარება - 15,217.8 ათასი ლარი, კერძოდ განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები:

მუნიციპალური სერვისების ეფექტურობის გაზრდისა და უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

- ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება;
- ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო;
- მუნიციპალური სერვის-ცენტრების მშენებლობა;
- თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა;
- ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია.

ქალაქ ბათუმის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში:

- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 41,762.1 ათასი ლარი;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობა - 142,044.1 ათასი ლარი;
- ✓ გარემოს დაცვა - 54,517.2 ათასი ლარი;
- ✓ საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 126,037.7 ათასი ლარი;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვა - 13,722.4 ათასი ლარი;
- ✓ დასვენება, კულტურა და რელიგია - 70,366.2 ათასი ლარი;
- ✓ განათლება - 60,489.2 ათასი ლარი;
- ✓ სოციალური დაცვა - 19,582.2 ათასი ლარი;

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

- მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2026-2029 წლები);
- 2025 წლის 10 თვის ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვა;

- ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამები და ქვეპროგრამები დანართი, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

- კაპიტალური ბიუჯეტის დანართი;

- ინფორმაცია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ;

- ინფორმაცია დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი გრანტებით დაფინანსებული პროექტების შესახებ.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას და ოპტიმალურ გადანაწილებას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს ქ. ბათუმის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას;

ბ.დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის პროექტი არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ.ე) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის პროექტი ასახავს გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

პროექტი მომზადებულია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად და შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას;

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტის შემუშავებაში და მათი შეფასება პროექტის მიმართ (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის შემუშავებისას მიღებული იქნა კონსულტაციები საქართველოს ფინანსთა სამინისტროსაგან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსაგან;

ე) პროექტის ინიციატორი:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

დანართი 1

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა (ათას ლარებში)	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი
	სულ ასიგნებები	**570,000.0**	
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**67,324.4**	
01 01	**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო**	**4,190.7**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
01 02	**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია**	**11,206.1**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
01 03	**სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა**	**48,002.6**	
01 03 02	გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KfW) მიღებული სესხების მომსახურება	**45,171.4**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
01 03 03	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხის მომსახურება	**2,831.2**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
01 04	**სარეზერვო ფონდი**	**3,500.0**	
01 05	**წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი**	**300.0**	
01 07	**საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება**	**45.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
01 08	**მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარება**	**80.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 00	**მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარება**	**295,283.2**	
02 01	**საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**114,866.9**	
02 01 01	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	**1,614.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 01 02	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	**10.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 01 03	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	**2,800.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 01 04	გზების, ქუჩებისა და ტროტუარების მიმდინარე მოვლა-პატრონობა	**4,500.0**	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 01 05	საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და კაპიტალური მშენებლობა	**95,992.0**	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 01 06	გარე განათების ქსელის განვითარება და მოვლა-პატრონობა	**8,700.9**	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 01 07	საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ღონისძიებები	**1,250.0**	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო
02 02	**სატრანსპორტო სისტემისა და სერვისის განვითარება**	**37,252.0**	
02 02 01	მუნიციპალური სატრანსპორტო სერვისის განვითარება	**36,900.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა (ათას ლარებში)	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი
02 02 02	სატრანსპორტო სისიტემის განვითარების თანადაფინანსება	352.0	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 03	**საბაზისო კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარება**	**69,060.7**	
02 03 01	სანიაღვრე სისტემების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა	24,704.3	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 03 02	წყლის სისტემების რეაბილიტაცია	15,127.2	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 03 03	კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაცია	4,000.0	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 03 04	ბათუმში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციის პროექტის თანადაფინანსება	25,229.2	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 04	**ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი**	**50,363.4**	
02 04 01	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	13,907.8	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 04 02	საცხოვრებელი სახლების მშენებლობა	36,455.6	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 05	**მუნიციპალური სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა**	**1,376.1**	
02 05 01	მუნიციპალური სასაფლაოების მოვლა-პატრონობა	1,376.1	ა(ა)იპ - ბათუმის სასაფლაოები
02 06	**ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვა და მართვა**	**16,152.0**	
02 06 01	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო	3,933.9	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 06 02	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა, კვლევა და ექსპერტიზა	6,980.0	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 06 03	საკომპენსაციო თანხებით მოქალაქეთა უზრუნველყოფა	5,238.1	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
02 07	**ქალაქის კეთილმოწყობა**	**6,212.1**	
02 07 01	ქალაქის გაფორმების ღონისძიებები	2,519.7	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
02 07 02	ქალაქის ურბანული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	3,692.4	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო
03 00	**ქალაქის დასუფთავება, ეკოლოგიური მდგომარეობისა და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**59,631.0**	
03 01	**ქალაქის დასუფთავების მომსახურების განვითარება**	**25,812.9**	
03 01 01	ქალაქის დასუფთავება და ნარჩენების გატანა	25,812.9	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა (ათას ლარებში)	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი
03 02	**ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის განვითარება**	**33,818.1**	
03 02 01	პარკების, სკვერებისა და მოედნების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და მშენებლობა	**27,226.8**	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
03 02 02	ქალაქის გამწვანების ღონისძიებები	**6,591.3**	ა(ა)იპ - ბათუმის გამწვანებისა და ლანდშაფტური დაგეგმარების სამსახური
03 02 03	ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი		ა(ა)იპ - ბათუმის ბოტანიკური ბაღი
04 00	**განათლება**	**60,489.2**	
04 01	**სკოლამდელი აღზრდა და განათლება**	**60,274.2**	
04 01 01	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება	**45,234.6**	ა(ა)იპ - ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება
04 01 02	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	**2,080.7**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
04 01 03	საბავშვო ბაღების შენობების მშენებლობა და კაპიტალური რეაბილიტაცია	**12,958.9**	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
04 02	**პროფესიული განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხელშეწყობა**	**215.0**	
04 02 01	პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	**45.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
04 02 02	სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის	**170.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
05 00	**კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**	**36,548.1**	
05 01	**სპორტის განვითარების ხელშეწყობა**	**8,904.8**	
05 01 01	მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა	**1,149.6**	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი
05 01 02	ბათუმელი სპორტსმენების ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობა	**65.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
05 01 03	სპორტული საკლუბო გუნდების მხარდაჭერა	**6,854.7**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
05 01 04	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"	**547.4**	ა(ა)იპ საჭადრაკო კლუბი "ნონა"
05 01 05	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი	**288.1**	ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბი
05 02	**მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა**	**15,214.1**	
05 02 01	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი	**8,998.4**	ა(ა)იპ - ბათუმის სპორტული ცენტრი
05 02 02	სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია	**6,215.7**	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
05 03	**კულტურული ღონისძიებები და ფესტივალები**	**4,799.3**	
05 03 01	კულტურული ღონისძიებების მართვა	**2,372.3**	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი
05 03 02	ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებული კულტურული ღონისძიებები	**1,330.0**	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა (ათას ლარებში)	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი
05 03 03	კულტურული მრავალფეროვნების ხელშეწყობა	**27.0**	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი
05 03 04	ფესტივალების მხარდაჭერა	**920.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
05 03 05	კულტურის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა	**150.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
05 04	**კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა**	**5,333.8**	
05 04 01	ფოლკლორის ხელშეწყობა	**2,199.1**	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი
05 04 02	თანამედროვე მუსიკის ხელშეწყობა	**461.9**	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი
05 04 03	კლასიკური მუსიკის ხელშეწყობა	**869.2**	ა(ა)იპ - ბათუმის კულტურის ცენტრი
05 04 04	ხელოვანთა ხელშეწყობა	**47.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
05 04 05	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა	**1,756.6**	ა(ა)იპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკა
05 05	**კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და განვითარება**	**2,076.1**	
05 05 01	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და კულტურის ობიექტების რეაბილიტაცია	**2,076.1**	ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
05 06	**ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა**	**220.0**	
05 06 01	ახალგაზრდული ცენტრი	**200.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
05 06 02	ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა	**20.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**34,381.2**	
06 01	**ჯანმრთელობის დაცვა**	**13,617.5**	
06 01 01	მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა	**2,053.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 02	ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია	**113.6**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 03	ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია	**259.2**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 04	მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურეობა	**305.5**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 05	ზოგიერთი მოწყვლადი კატეგორის პირებისათვის კლიმატოთერაპიის კურსის ჩატარება	**1,230.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 06	ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია	**7,984.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 07	ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება	**201.6**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 08	მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება	**1,283.4**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 01 09	თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება	**187.2**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02	**სოციალური უზრუნველყოფა**	**19,582.2**	
06 02 01	კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება	**611.4**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა (ათას ლარებში)	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი
06 02 02	მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა	**4,281.9**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02 03	მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება	**3,532.5**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02 04	მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება	**1,740.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02 05	მუნიციპალური უფასო სასადილო	**7,121.7**	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო
06 02 06	დროებითი მუნიციპალური თავშესაფარი	**1,081.9**	ა(ა)იპ - ქ. ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო
06 02 07	საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა	**131.8**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02 08	ერთჯერადი მატერიალური დახმარება		ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02 09	მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა	**120.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02 10	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება	**579.5**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 02 11	მოწყვლადი სოციალური ჯგუფის ოჯახების მხარდაჭერა	**381.5**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 03	**სანიტარიული ზედამხედველობა და ეპიდსიტუაციის მართვა**	**1,181.5**	
06 03 01	ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული მონიტორინგი	**104.9**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 03 02	დეზინსექცია დერატიზაციის ღონისძიებები	**580.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
06 03 03	უპატრონო შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები	**496.6**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
07 00	**ქალაქის ეკონომიკური და ურბანული განვითარება**	**1,125.1**	
07 01	**ქალაქის ურბანული განვითარება**	**1,075.1**	
07 01 01	ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის შედგენა	**698.8**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
07 01 02	მუნიციპალური კვლევების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა	**376.3**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
07 02	**ქალაქის ეკონომიკური პროფილის გაძლიერება და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა**	**50.0**	
07 02 01	მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების სტიმულირება	**50.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
08 00	**მუნიციპალური სერვისების განვითარება**	**15,217.8**	
08 01	**მუნიციპალური მომსახურების მართვა და გაუმჯობესება**	**14,217.8**	
08 01 01	ელექტრონული სერვისების დანერგვა და განვითარება	**115.5**	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო
08 01 02	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო	**6,418.8**	ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო

პროგრამული კოდი	დასახელება	2026 წლის გეგმა (ათას ლარებში)	პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი
08 01 03	მუნიციპალური სერვისის გაუმჯობესება		ა(ა)იპ - საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო
08 01 04	თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული ქონების მართვა	**173.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
08 01 05	ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია	**7,510.5**	ა(ა)იპ ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია
08 02	**თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაძლიერება**	**1,000.0**	
08 02 01	მონაწილეობითი ბიუჯეტით შერჩეული პროექტების დაფინანსება	**1,000.0**	ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია